საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

20. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლური ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სწავლების სადოქტორო დონის და საკვლევი მასალის სერიოზულობის გათვალისწინებით, სასურველია, შემცირდეს სემინარებისა თუ კოლოკვიუმების რაოდენობა და გაიზარდოს მათთვის მისანიჭებელი კრედიტი. ექსპერტთა აზრით, სრულიად შესაძლებელია კოლოკვიუმისა და სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებისთვის დათმობილი კრედიტების გაერთიანება, რადგან სადოქტორო კოლოკვიუმში დისერტაციის ნაწილია, რომლის დასაბეჭდად მომზადება და არა მხოლოდ პრეზენტაცია მეტ სერიოზულობას შესძენს ამ კოლოკვიუმს და მართლა სამეცნიერო პროდუქტად აქცევს მას;

- სადოქტორო კურსები, სწავლების სადოქტორო დონისა და მისთვის აუცილებელი ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნის გათვალისწინებით, სასურველია, მაქსიმალურად შეივსოს დარგისთვის უახლესი და აქტუალური ევროპული ლიტერატურით (მაგალითისათვის, ლიტერატურის თეორიის კურსს სავალდებულოც და არჩევითი ლიტერატურაც მხოლოდ რუსულენოვანი აქვს).

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლური ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების

აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლური ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

21. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების თეორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამაზე სწავლის წინაპირობად ერთიან სამაგისტრო გამოცდასა და სასპეციალიზაციო გამოცდასთან ერთად დაემატოს ევროპული ენის გარკვეულ დონეზე ცოდნის მოთხოვნაც, რაც შემოწმდება გამოცდით ან სტუდენტის მიერ წარმოდგენილი საერთაშორისო სერთიფიკატით;

- უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით, სამაგისტრო ნაშრომის თემის სათაური ფაკულტეტის საბჭოზე მტკიცდება მეორე სემესტრში, რაც ექსპერტებს მაგისტრანტისთვის საკვლევი სფეროსა და თემის არჩევის შეზღუდვად მიაჩნიათ. გამომდინარე იქედან, რომ სამაგისტრო ნაშრომი სრულდება მეოთხე სემესტრში, ექსპერტთა აზრით, მიზანშეწონილია, ნაშრომის თემატიკის დამტკიცება მოხდეს არა უადრეს მესამე სემესტრისა;

- სასურველია მოხდეს საბიბლიოთეკო ფონდის, ვიდეოთეკისა და აუდიოთეკის განახლება და შევსება;

- პროგრამის კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, სასურველია პოტენციური დამსაქმებლებისათვის პროგრამის გაცნობა მოხდეს პროგრამის საბოლოო ვერსიის შემუშავებამდე. აღნიშნული ხელს შეუწყობას პროგრამაში დამსაქმებლების/შრომითი ბაზრის მოთხოვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებას;

- დამსაქმებლებთან ინტერვიუებით დადასტურდა, რომ შრომის ბაზარზე განსაკუთრებული მოთხოვნა არის კულტურის მენეჯმენტის სპეციალისტებზე. პროგრამაში კულტურის მენეჯმენტი წარმოდგენილია ერთსემესტრიან არჩევით კურსად. სასურველია, მოხდეს აღნიშნულ დისციპლინაზე მეტი ყურადღების გამახვილება და მისთვის სავალდებულო კურსის სტატუსის მინიჭება;

- პროგრამის მეტად ინტერნაციონალიზმის მიზნით, პროგრამის სპეციფიკიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სასურველია პროგრამის და უნივერსიტეტის ხელმძღვანელების მიერ მოხდეს საერთაშორისო კონტაქტების დამყარება, საერთაშორისო ღონისძიებებში აქტიურად ჩართვა და სხვადასხვა საერთაშორისო ინიციატივების წამოყენება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. აღნიშნა, რომ საბიბლიოთეკო ფონდი ამჟამად უკვე გადახალისებულია.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების თეორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების თეორიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

22. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია, საკურსო ნაშრომის შესრულებისას საკონსულტაციო საათების გაზრდა;
- პროგრამაში ინგლისური ენის კურსი შეთავაზებულია არჩევით საგნად. სასურველია, გადატანილ იქნეს სავალდებულო სასწავლო კურსებში და ასევე გაიზარდოს ინგლისური ენის სწავლების დონე (pre-intermediate დონის ნაცვლად დაიწყოს მინიმუმ intermediate დონიდან);
- სასურველია, მრავალფეროვნების მიზნით, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა, მაგ: ამერიკის პოპ-კულტურა, გენდერული სწავლებები, ქალთა საკითხები და ა.შ.;
- სასურველია, პროგრამაზე სწავლის წინაპირობად ერთიან სამაგისტრო გამოცდასა და სპეციალიზაციის გამოცდასთან ერთად დაემატოს ევროპული ენის გარკვეულ დონეზე ცოდნის მოთხოვნაც, რაც შემოწმდება გამოცდით ან სტუდენტის მიერ წარმოდგენილი საერთაშორისო სერთიფიკატით;
- უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით, სამაგისტრო ნაშრომის თემის სათაური ფაკულტეტის საბჭოზე მტკიცდება მეორე სემესტრში, რაც ექსპერტებს მაგისტრანტისთვის საკვლევი სფეროსა და თემის არჩევის გარკვეულად შეზღუდვად მიაჩნიათ. ექსპერტთა აზრით, რადგან სამაგისტრო ნაშრომი სრულდება მეოთხე სემესტრში, მიზანშეწონილია ნაშრომის თემატიკის დამტკიცება მოხდეს არა უადრეს მესამე სემესტრისა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

23. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- ექსპერტთა ჯგუფს მიჩანია, უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის სასწავლო პროგრამაში აღარ უნდა ფიქსირდებოდეს ისეთი სასწავლო დისციპლინა, როგორცაა სამეცნიერო წერის საფუძვლები, რაც ბუნებრივია დოქტორანტს შესწავლილი უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლების წინა საფეხურებზე;

- სასწავლო პრაქტიკის სილაბუსში სასურველია კურსი მიჰყავდეს განათლების მეცნიერების მიმართულების სპეციალისტებს დარგის პროფესურასთან კოოპერაციაში;

- ასევე უნდა დაზუსტდეს ევროპული ენების ცოდნის დონე (სპეციალობის ენობრივი კომპეტენცია უნდა შეეფარდებოდეს საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მინიმუმ C1 დონეს, ხოლო მეორე ენების დონე შესაბამისი სარეკომენდაციო ჩარჩოს მინიმუმ B2 დონეს.);

- პროგრამაში წარმოდგენილია ერთიანობაში არაერთი თანამედროვე სწავლების მეთოდი, მაგრამ ცალკეულ სასწავლო კურსებში სასურველი იქნებოდა, თუ კონკრეტულად გაიწერებოდა მეთოდების ჩამონათვალი, ვინაიდან თითოეულ საგანს სწავლების სპეციფიკური მეთოდიკა აქვს;

- სასურველია თუ დოქტორანს პროგრამის განმახორციელებლები სემესტრულად შესთავაზებდნენ ასარჩევი საგნების ბლოკს და ეს აისახებოდა პროგრამის სტრუქტურაში. გარდა ამისა, ასევე მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს კოლოქვიუმების საკრედიტო ხვედრითი წილი და შემცირდეს მათი რაოდენობა, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს ასევე მიზანშეწონილად მიაჩნია, თუ მათი პროგრამული განხორციელება დაიწყება მას შემდეგ, რაც დოქტორანტი შეასრულებდა პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტს;

- სასურველია, თუ პროფესორი სილაბუსშივე დააფიქსირებს საკონსულტაციო დღეებს, ადგილსა და დროს, რათა დოქტორანტი წინასწარ იცოს ინფორმირებული საკონსულტაციო დროსა და ადგილზე;

- მნიშვნელოვანია თუ პროგრამის აღწერილობაში აღინიშნებოდა, რომ გარდა იმისა, რომ სწავლების ენა ქართულია, სასწავლო პროცესი ასევე გულისხმობს უცხოენოვან დარგობრივ კომუნიკაციას (მუშაობა ავთენტურ და კრიტიკულ ტექსტებზე), რისი დადასტურებაცაა წარმოდგენილი სასწავლო სილაბუსებში;

- სასურველია პროგრამის პორტფოლიოში წარმოდგენილ პროგრამის განმახორციელებელი ყველა პირის რეზიუმეში აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ხარისხის მითითებისას ფიქსირდებოდეს აგრეთვე საკვალიფიკაცია ნაშრომის თემა გარდა შესაბამისი გრიფისა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საბჭომ შეკითხვა დაუსვა ექსპერტებს, რითი იყო განპირობებული დასავლეთევეროპული და ამერიკული ლიტერატურის გაერთიანება. აკრედიტაციის ექსპერტმა ნინო ქიმერიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა მოდულარული პრინციპით იყო აგებული და მისი არქიტექტურა იძლეოდა სასურველ დარგში სპეციალიზების შესაძლებლობას. შესაბამისად, მის მიერ პროგრამის აღნიშნული არქიტექტურა, დადებითად იქნა შეფასებული.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევეროპული და ამერიკული ლიტერატურის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევეროპული და ამერიკული ლიტერატურის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

24. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სადოქტორო პროგრამაზე მიღების ერთ-ერთი წინაპირობაა გამოცდა სპეციალობაში (ანტიკური ლიტერატურა). სასურველია სპეციალობის გამოცდა მოიცავდეს ლათინური და ძველი ბერძნული ენის ცოდნის დონის განსაზღვრასაც;
- უმჯობესია, მოხდეს კვლევითი კომპონენტის კრედიტების გაზრდა და შემცირდეს კოლოქვიუმების რაოდენობა;
- სასურველია სწავლების მე-5-6 სემესტრისათვის დოქტორანტს დასრულებული ჰქონდეს სასწავლო კომპონენტი და მთელი დროის დათმობა მოხდეს დისერტაციის მომზადებასა და დაცვისთვის;
- სასურველია მოხდეს სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის გამრავალფეროვნება და ყურადღება მიექცეს, რომ მითითებული ლიტერატურა არ იყოს მხოლოდ ერთ უცხო ენაზე (მით უმეტეს იმ უცხო ენაზე, რომლის სწავლის ვალდებულება სწავლების არც ერთ ეტაპზე არ არსებობს);
- პროგრამის ხელმძღვანელებთან და დოქტორანტებთან ინტერვიუებით დადასტურდა, რომ საკვლევი თემატიკის წინასწარ პროგრამაში მითითება არ ზღუდავს დოქტორანტს იმუშაოს სხვა, მისთვის სასურველ საკითხზე. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა აზრით, საკვლევი თემატიკის წინასწარ მითითებამ, შესაძლოა, გარკვეულწილად მოახდინოს დოქტორანტის არჩევანზე გავლენა ან შეზღუდვა. ამიტომ, უმჯობესი იქნება, თუ პროგრამაში მითითებული იქნება საკვლევი სფერო და არა საკვლევი თემატიკა;
- სასურველია, ინტენსიური კითხვის კურსებში შესასწავლი ავტორების და საკითხების განსაზღვრა მოხდეს დოქტორანტთა ინტერესების შესაბამისად;
- პროგრამის მეტად ინტერნაციონალიზმის მიზნით, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია პროგრამის და უნივერსიტეტის ხელმძღვანელების მიერ მოხდეს ახალი საერთაშორისო კონტაქტების დამყარება და არსებულის გაძლიერება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

25. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- ექსპერტთა აზრით, სასურველია, რომ ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში ჩაიდოს სავალდებულო კომპონენტად უცხო ენის დონის მითითება/ჩაბარება;
- რეკომენდაციის სახით შეიძლება ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში დაკონკრეტდეს სპეციალობაში საგამოცდო საგნის დასახელება, რომელსაც აბარებენ მაგისტრანტობის კანდიდატები მინიმალური გამსვლელი ქულის მითითებით;
- მიზანშეწონილია სავალდებულო და არჩევითი საგნების თანაფარდობა იყოს დაცული, ვინაიდან ძალიან დიდი დისბალანსია 80/10-ზე. ეს იქნება შესაძლებელი 15 და 10 კრედიტიანი სავალდებულო საგნების შემცირების ხარჯზე;
- მიზანშეწონილია სწავლის მეთოდებში, სასწავლო გეგმის თანახმად, ლექციისა და პრაქტიკული მეცადინეობის გარდა იყოს ასევე დამატებული სამუშაო ჯგუფში მუშაობა/სემინარი, რომელიც ექსპერტთა აზრით, არის პროგრამაში შემავალი ისეთი თეორიული კურსების, როგორცაა: ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები, კომუნიკაციური ლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, სემანტიკა და სხვ. სწავლის ერთ-ერთი ეფექტური და მნიშვნელოვანი მეთოდი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. მისი განმარტებით, უახლოეს მომავალში მოხდება პროგრამებში არჩევითი კომპონენტის გაზრდა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

26. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- არის შემთხვევები, როდესაც სილაბუსში სასწავლო კურსის სახელწოდება არის ზოგადი, თუმცა სილაბუსში წარმოდგენილი საკითხების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო კურსი ეხება ერთ კონკრეტულ საკითხს. მაგ.: სასწავლო კურსის სახელწოდებაა ახალი ისტორიის პრობლემური საკითხები I, როდესაც სილაბუსში მოცემულია კონკრეტულად მე-18-მე-19 საუკუნეების საფრანგეთის ისტორიის საკითხები; ასევე, ერთ-ერთი სასწავლო კურსის სახელწოდებაა უახლესი ისტორიის პრობლემური საკითხები II, როდესაც სილაბუსში მოცემულია კონკრეტულად საკითხები პირველი გერმანული დემოკრატიული სახელმწიფოსა (ვაიმარის რესპუბლიკა) და მისი კრახის შესახებ. სასურველია, სასწავლო კურსს შესაბამისად ეწოდოს კონკრეტული სახელწოდება, გამომდინარე უშუალოდ იმ საკითხებიდან, რომელსაც ის მოიცავს;

- სასურველია პროგრამაზე სწავლის წინაპირობად ერთიან სამაგისტრო გამოცდასა და სასპეციალიზაციო გამოცდასთან ერთად დაემატოს ევროპული ენის გარკვეულ დონეზე ცოდნის მოთხოვნაც, რაც შემოწმდება გამოცდით ან სტუდენტის მიერ წარმოდგენილი საერთაშორისო სერთიფიკატით;

- უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით, სამაგისტრო ნაშრომის თემის სათაური ფაკულტეტის საბჭოზე მტკიცდება მეორე სემესტრში, რაც მაგისტრანტისთვის საკვლევი სფეროსა და თემის არჩევის გარკვეულად შეზღუდვად მიაჩნიათ ექსპერტებს. ექსპერტთა აზრით, მიზანშეწონილია, ნაშრომის თემატიკის დამტკიცება მოხდეს არა უადრეს მესამე სემესტრისა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

27. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების და მართვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია პროგრამაზე სწავლის წინაპირობად ერთიან სამაგისტრო გამოცდასა და სასპეციალიზაციო გამოცდასთან ერთად დაემატოს ევროპული ენის გარკვეულ დონეზე ცოდნის მოთხოვნაც, რაც შემოწმდება გამოცდით ან სტუდენტის მიერ წარმოდგენილი საერთაშორისო სერთიფიკატით;
- უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით, სამაგისტრო ნაშრომის თემის სათაური ფაკულტეტის საბჭოზე მტკიცდება მეორე სემესტრში, რაც ექსპერტთა აზრით, მაგისტრანტისთვის საკვლევი სფეროსა და თემის არჩევის შეზღუდვას წარმოადგენს. გამომდინარე იქედან, რომ სამაგისტრო ნაშრომი სრულდება მეოთხე სემესტრში, ექსპერტთა აზრით, მიზანშეწონილია, ნაშრომის თემატიკის დამტკიცება მოხდეს არა უადრეს მესამე სემესტრისა;
- სასურველია სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათებაში მიეთითოს სწავლების და სწავლის მხოლოდ ის მეთოდები, რომლებსაც იყენებენ პროგრამის კონკრეტული სასწავლო კურსები;
- მიზანშეწონილია კურსდამთავრებულთა დასაქმების გრაფაში დაზუსტდეს და დაკონკრეტდეს დასაქმების სფეროები;
- სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტი 90 ECTS კრედიტის მოცულობით ნაწილდება შემდეგნაირად: პროგრამის სავალდებულო კურსები 70 ECTS კრედიტის მოცულობით, პროფესიული პრაქტიკა – 10 ECTS კრედიტის მოცულობით, პროგრამის არჩევითი კურსები 10 ECTS კრედიტის მოცულობით. სასურველი იქნება სტუდენტებს შესთავაზონ უფრო მეტი რაოდენობის კრედიტის არჩევითი კურსები;
- მიზანშეწონილია ყველა სასწავლო კურსის ფინალური გამოცდა ითვალისწინებდეს წერით კომპონენტს;
- არის ტექნიკური ხარვეზი: ა) სავალდებულო კურსების – ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარება XX საუკუნეში (5 ECTS) და განათლების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები (5 ECTS) – ფორმატში მითითებულია შემდეგი საათობრივი განაწილება – საკონტაქტო 20 სთ. დამოუკიდებელი და სხვა სამუშაოსათვის - 105 სთ. უნდა იყოს - საკონტაქტო 30 სთ. და დამოუკიდებელი 95 სთ; ბ) სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო კურსის სილაბუსს – მოზარდი, გარემო და აღზრდა (5 ECTS) მითითებული აქვს არჩევითი სტატუსი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების და მართვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების და მართვის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

28. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების და მართვის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია პროგრამაზე სწავლის წინაპირობად ერთიან სამაგისტრო გამოცდასა და სასპეციალიზაციო გამოცდასთან ერთად დაემატოს ევროპული ენის გარკვეულ დონეზე ცოდნის მოთხოვნაც, რაც შემოწმდება გამოცდით ან სტუდენტის მიერ წარმოდგენილი საერთაშორისო სერთიფიკატით;

- სასწავლო კომპონენტში ჩართულია 3 სემინარი ხუთ-ხუთი კრედიტით, კვლევით კომპონენტში კი 2 კოლოკვიუმი ოც-ოცი კრედიტით. შედეგად, არის სემესტრები (მაგ., მესამე, მეოთხე), როცა სემინარიც აქვს მოსამზადებელი დოქტორანტს (რომელიც არ არის მისი სადისერტაციო კვლევის ნაწილი) და კოლოკვიუმიც (რომელიც მისი დისერტაციის უშუალო ნაწილია), ასევე სამეცნიერო სტატიის პუბლიკაცია ევალეზა (რომელიც მის დისერტაციასთან უნდა იყოს კავშირში, მაგრამ სრულად არ ემთხვეოდეს კოლოკვიუმის მასალას). სასურველია სწავლების სადოქტორო დონის და საკვლევი მასალის სერიოზულობის გათვალისწინებით შემცირდეს სადოქტორო სემინარების რაოდენობა;

- სადოქტორო კურსები, სწავლების სადოქტორო დონისა და მისთვის აუცილებელი ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნის გათვალისწინებით, სასურველია, მაქსიმალურად შეივსოს დარგისთვის უახლესი და აქტუალური ევროპული ლიტერატურით;

- სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კურსი ფსიქოლოგიის სპეციალური კურსის (5 ECTS კრედიტი) მიზანში მითითებულია, რომ კურსმა უნდა გაულრმავოს დოქტორანტს სწავლების წინა საფეხურებზე (ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში) მიღებული ცოდნა ფსიქოლოგიის ფუნდამენტური პრობლემების და სწავლება-სწავლის ფსიქოლოგიური თეორიების შესახებ. სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობაში არ არის მითითებული მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი რომელ მიმართულებასა თუ დარგში უნდა ჰქონდეს ჩამზარებელს კვალიფიკაციათა მოქმედი ეროვნული ჩარჩოს მიხედვით, და შესაბამისად, უნივერსიტეტს გაუჭირდება დადგენა დოქტორანტს სწავლების წინა საფეხურებზე (ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში) რამდენად აქვს/ან საერთოდ აქვს თუ არა ფსიქოლოგიაში რაიმე დონის ცოდნა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების და მართვის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების და მართვის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

29. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსები დამუშავდეს უფრო დეტალურად, სასწავლო თემები კვირეული დატვირთვის შესაბამისად იყოს წარმოდგენილი და მითითებული იყოს შესაბამისი ლიტერატურა, შესაბამისი თემატიკის შესასწავლად;

- სამაგისტრო პროგრამა უფრო მეტად უნდა იყოს ორიენტირებული საისტორიო წყაროების და თანამედროვე საისტორიო კვლევების შედეგებზე, რაც ნაკლებად ჩანს პროგრამის კურიკულუმში. რადგანაც თანამედროვე გამოწვევები თავისთავად მიუთითებს, რომ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს თანამედროვე დასავლური კვლევების შედეგები, დასავლეთ ევროპულ ენებზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა. მსგავსი კვლევების შესწავლის შესაძლებლობას იძლევა დასავლური ენების ცოდნისადმი გაზრდილი მოთხოვნების საფუძველზე;

- სასურველია პროგრამაზე სწავლის წინაპირობად ერთიან სამაგისტრო გამოცდასა და სასპეციალიზაციო გამოცდასთან ერთად დაემატოს ევროპული ენის გარკვეულ დონეზე ცოდნის მოთხოვნაც, რაც შემოწმდება გამოცდით ან სტუდენტის მიერ წარმოდგენილი საერთაშორისო სერთიფიკატით;

- უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის თემის სათაური ფაკულტეტის საბჭოზე მტკიცდება მეორე სემესტრში, რაც ექსპერტებს მაგისტრანტისთვის საკვლევი სფეროსა და თემის არჩევის გარკვეულად შეზღუდვად მიაჩნიათ. ექსპერტთა აზრით, რადგან სამაგისტრო ნაშრომი სრულდება მეოთხე სემესტრში, მიზანშეწონილია, ნაშრომის თემატიკის დამტკიცება მოხდეს არა უადრეს მესამე სემესტრისა;

- სასწავლო კურსებს ძირითადად არ გააჩნია წინაპირობა, მაგ. ისეთ კურსებს, როგორცაა "საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხები", რომელიც წარმოდგენილია ოთხ ნაწილად. ექსპერტთა აზრით, ქრონოლოგიური პრინციპით უნდა გააჩნდეს წინაპირობა;

- სასურველი იქნებოდა, თუ უფრო კონკრეტული გახდებოდა ისეთი საგნების დასახელება, როგორცაა "საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხები", რომელიც წარმოდგენილია ოთხ ნაწილად. ასევე უმჯობესია იქნება, თუ გადაისინჯება ზოგიერთი საგნის დასახელება, მაგ „ქართული ეკლესიის ისტორია“ - უმჯობესია "საქართველოს ეკლესიის ისტორია." ;

- სასწავლო საგნების შუალედურ და დასკვნით გამოცდას (წერით ვარიანტი) დათმობილი აქვს ერთი საათი. ექსპერტთა აზრით, ეს დრო არის ძალიან მცირე სამსაკითხიანი საგამოცდო ბილეთზე სრულყოფილი პასუხის გაცემისათვის.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

21:00 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. თავმჯდომარემ, ნინო ხოფერიამ, დატოვა სხდომა, შესაბამისად, 21:15 წუთზე სხდომა გაანახლა დავით კიკალიშვილმა.

30. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია გაფართოვდეს სადოქტორო პროგრამის კვლევის არეალი. ის არ უნდა იყოს შეზღუდული პროგრამის ხელმძღვანელთა კვლევის თემატიკის შესაბამისად, როგორც ეს არის წარმოდგენილი პროგრამის მიზნებში - „წინამდებარე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფიებისა და სამეცნიერო ნაშრომების თემატიკურ მიმართულებათა გათვალისწინებით, დოქტორანტებს სადისერტაციო თემები დაუდგინდებთ საქართველოს გაერთიანებული ფეოდალური მონარქიის ხანის (X–XV სს.), XIX და XX საუკუნეების და ქართული ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის პრობლემატიკიდან“;

- სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსები დამუშავდეს უფრო დეტალურად, სასწავლო თემები კვირული დატვირთვის შესაბამისად იყოს წარმოდგენილი და მითითებული იყოს შესაბამისი ლიტერატურა, შესაბამისი თემატიკის შესასწავლად; სასურველია ძირითადად სასწავლო კურსებში მეტად იყოს გათვალისწინებული თანამედროვე დასავლური კვლევის შედეგები.

